გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

კერძო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ

საქმე №2ბ/333-18 **30 აპრილი, 2018 წელი**

თბილისის სააპელაციო სასამართლო
სამოქალაქო საქმეთა პალატა

თავმჯდომარე, მომხსენებელი -ნათია გუჯაბიძე
მოსამართლეები - ქეთევან მესხიშვილი
ნატალია ნაზღაიძე

საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე

კერძო საჩივრის ავტორი - [redacted]
წარმომადგენელი - გურამ კონტუაძე

მოწინააღმდეგე მხარე - [redacted]

გასაჩივრებული განჩინება – რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 08 იანვრის განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ

კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინების გაუქმება

გასაჩივრებული განჩინების შეცვლის დასაბუთება

პალატა გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა კერძო საჩივრის საფუძვლიანობა, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) სააპელაციო საჩივრის (კერძო საჩივრის) ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის ,,გ" ქვეპუნქტის თანახმად, განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და/ან სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 183-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელის (განცხადების) სასამართლოში შეტანისას სასამართლოს კანცელარია ახდენს სარჩელის (განცხადების) რეგისტრაციას და, თუ სარჩელი (განცხადება) შეაქვს იურიდიულ პირს, ინდივიდუალურ მეწარმეს, ადვოკატს ან წარმომადგენელს (გარდა კანონიერი წარმომადგენლისა), ან თუ სარჩელი (განცხადება) შეიტანება იურიდიული პირის წინააღმდეგ, მოსარჩელეს (წარმომადგენელს) გადასცემს გზავნილს (სარჩელის (განცხადების) და თანდართული დოკუმენტების ასლებს) მოპასუხისათვის ჩასაბარებლად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მოსარჩელე ვალდებულია უზრუნველყოს მოპასუხისათვის სასამართლო გზავნილის ფოსტით, სასამართლო კურიერის მეშვეობით ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესით ჩაბარება ან მისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნა ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესების დაცვით მისთვის გზავნილის გადაცემიდან 2 თვის ვადაში. ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი სასამართლო გზავნილის ჩაბარება დასტურდება ადრესატის მიერ ელექტრონული საშუალებით მიწოდებული დადასტურებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე პირველი ნაწილის „თ" ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო, მხარის განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ მოსარჩელე ამ კოდექსის 184-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ვადაში არ წარმოადგენს მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელ დოკუმენტს ან

შუამდგომლობას მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარების შესახებ.

პალატა განმარტავს, რომ კანონით გათვალისწინებულ ორთვიან ვადაში სარჩელის მოპასუხისათვის ჩაბარება სათანადოდ უნდა იქნეს დადასტურებული, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსარჩელე არამხოლოდ ვალდებულია მოპასუხეს კანონით დადგენილი წესითა და პირობებში სარჩელი ჩააბაროს, არამედ, **აუცილებელია, რომ მოპასუხისათვის სარჩელის ჩაბარების მტკიცებულება სასამართლოს წარუდგინოს.** წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ" ქვეპუნქტით ხელმძღვანელობს.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დგინდება, რომ მხარეთა შორის არსებობდა სახელშეკრულებო ურთიერთობა, კერძოდ, მოპასუხემ კუთვნილი ავტომობილი განათავსა მოსარჩელის - შპს [redacted] ტერიტორიაზე. მოსარჩელის განმარტებით, მის მიერ მოპასუხისათვის გაწეული პარკირების მომსახურების დავალიანება 2018 წლის 03 იანვრის მდგომარეობით შეადგენს - 1082 ლარს და მოპასუხეს დღემდე არ გადაუხდია აღნიშნული დავალიანება.

მოსარჩელემ იშუამდგომლა სარჩელის წარმოებაში მიღება მოსარჩელის მიერ მოპასუხის მისამართის მითითების გარეშე და აღნიშნა, რომ მოსარჩელე წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობას აწარმოებს საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო მოპასუხე წარმოადგენს [redacted] მოქალაქეს, შესაბამისად, მოსარჩელე მოკლებულია შესაძლებლობას მიუთითოს მოპასუხის როგორც ფაქტობრივი, ისე იურიდიული მისამართი. მოსარჩელემ აღნიშნულ გარემოებაზე მითითებით დააყენა შუამდგომლობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით მოხდეს სარჩელისა და თანდართული მტკიცებულებების ჩაბარება მოპასუხისათვის, აზერბაიჯანის სახელმწიფოში, მინსკის ,,სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ" კონვენციის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, მოსარჩელე ვალდებულია, ზუსტად მიუთითოს მოპასუხის მისამართი. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს ხარვეზი, ხოლო მისი აღმოუფხვრელობის შემთხვევაში - სარჩელი დატოვოს განუხილველად.
პალატა განმარტავს, რომ არსებობს შემთხვევები, როდესაც მოსარჩელე ვერ უთითებს უცხო ხელშემკვრელ სახელმწიფოში მცხოვრები მოპასუხის მისამართს, რადგან მან არ იცის ეს მისამართი.

მინსკის ,,სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ" კონვენცია (რომელსაც საქართველო მიერთებულია) და ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების უმეტესობა ავალდებულებს თხოვნის მიმღებ კომპეტენტურ ორგანოს, იუსტიციის დაწესებულებას (მაგალითად, სასამართლოს), მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა დოკუმენტების ადრესატის მისამართის დასადგენად. კერძოდ, მინსკის კონვენციის 8.4 მუხლის მიხედვით, თხოვნის მიმღები სახელმწიფოს დაწესებულება მიიღებს ყველა ზომას თხოვნაში აღნიშნული პირის (ადრესატის) მისამართის დასადგენად. მსგავსი შინაარის მუხლები გათვალისწინებულია ორმხრივ ხელშეკრულებათა უმრავლესობაში - აზერბაიჯანის რესპუბლიკა - მე-12 (1) მუხლი.

პალატა აღნიშნავს, რომ მაგალითად, სახელმწიფოს მოქალაქე დაინტერესებულმა პირმა შეავსო დოკუმენტების მიწოდების თხოვნის ფორმა და დაურთო მისაწოდებელი დოკუმენტაცია. დაინტერესებულმა პირმა ვერ მიუთითა ადრესატის მისამართი, რადგან ის დაუდგენელი იყო.

მინსკის კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე თხოვნის მიმღები იუსტიციის დაწესებულება ვალდებულია, მიიღოს ყველა ზომა მისამართის დასადგენად. შესაბამისად, ადრესატის მისამართის მითითების გარეშეც შესაძლებელია, საქართველოდან უცხო ქვეყანაში გაიგზავნოს სასამართლო მასალების ჩაბარების შესახებ თხოვნა. იმ შემთხვევაში, თუ ცნობილია არასრულყოფილი სამისამართო მონაცემები, მიზანშეწონილია ამ ინფორმაციის მიწოდება. გასათვალისწინებელია ერთი ფაქტით - მისამართის არცოდნის შემთხვევაში, თხოვნის შესრულების გაადვილების მიზნით, უმჯობესია დამატებით საიდენტიფიკაციო მონაცემების მითითება, როგორებიცაა: დაბადების თარიღი, მამის სახელი და სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემები.

იუსტიციის დაწესებულება, რომელიც ასრულებს დოკუმენტების ჩაბარებას და დოკუმენტების ჩაბარება ვერ მოხერხდა, ის ვალდებულია, მკაფიოდ მიუთითოს ჩაუბარებლობის მიზეზები სასამართლო მასალების გადაცემის შეტყობინების სპეციალურ ფორმაში, ან სხდომის ოქმში. დოკუმენტის ვერ ჩაბარების შემთხვევაშიც ივსება სპეციალური ფორმა (ე.წ შეტყობინება დოკუმენტების ჩაბარების შესახებ), სადაც ეთითება სასამართლოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების განხორციელების შესახებ ინფორმაცია და შეუსრულებლობის მიზეზი, და უცხო ქვეყნიდან გადმოგზავნილი სასამართლო მასალების ორიგინალთან ერთად ეს შევსებული შეტყობინების ფურცელი უბრუნდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.

თუ მოქალაქე ვერ უთითებს ხელშემკვრელ სახელმწიფოში მყოფი მოპასუხის ზუსტ მისამართს, სასამართლომ მოქალაქეს არ უნდა უთხრას უარი დოკუმენტების მიღებასა და წარმოების დაწყებაზე. მან უნდა მიიღოს დოკუმენტები და გადაუგზავნოს ცენტრალურ ორგანოს, რომელსაც მინსკის კონვენციის ან ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე აქვს საშუალება, ადრესატი სახელმწიფოს შესაბამის იუსტიციის დაწესებულებას მოსთხოვოს მოპასუხის მისამართის დადგენა.

სასამართლო ვალდებულია თავად უზრუნველყოს მისამართების დადგენა, რადგან ამას ავალდებულებს კონვენცია და ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები. ეს არ უნდა ჩაითვალოს შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევად.

პალატა იზიარებს კერძო საჩივარში მითითებულ მოსაზრებებს, პალატა მიიჩნევს, რომ **მოსარჩელემ მოპასუხის კოორდინატები - სახელი, გვარი და პასპორტის ნომერი, რომელიც მისთვის გახდა ცნობილი მის ტერიტორიაზე ავტომობილის განთავსების დროს, სასამართლოს წარუდგინა. მონაცემები, რისი წარდგენის შესაძლებლობაც მოსარჩელეს გააჩნდა წარდგენილი იქნა და სასამართლოს არ ჰქონდა სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარი ეთქვა.**

ამდენად, ასეთ შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლითა და ამავე კოდექსის 186.1 მუხლის ,,თ" გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის დადგომა მოსარჩელე შპს ,,რუსთავის ავტობაზრობის" საწინააღმდეგოდ არამართლზომიერია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ რუსთავის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 08 იანვრის განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე სარჩელის დასაშვებობის ეტაპზე უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე, 377-ე, 390-ე, 393-ე, 394-ე, 414-ე, 420-ე მუხლებით და

დაადგინა

1. შპს , [redacted] კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 08 იანვრის განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ და საქმე სარჩელის დასაშვებობის შემოწმების ეტაპზე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. განჩინება არ საჩივრდება.

თავმჯდომარე **ნათია გუჯაბიძე**

მოსამართლეები **ნატალია ნაზღაიძე**

ქეთევან მესხიშვილი

ასლი დედანთან სწორია
თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა პალატა
ხელმოწერა:
„12" „06" 2018 წ.